# წარმომადგენლობითი და საინვესტიციო ხარჯები საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში: 2019-2020



supported by Visegrad Fund

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

კვლევა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ პროექტის - *კარგი მმართველობისთვის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და ბენეფიციარი მესაკუთრეების ღიაობის სტანდარტების გაუმჯობესება* - ფარგლებში.
პროექტი დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის მიერ, ვიშეგრადის გრანტების პროგრამით, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და სლოვაკეთის მთავრობების თანადაფინანსებით. ფონდის მისიაა ცენტრალურ ევროპაში მდგრადი რეგიონული იდეების წახალისება.
კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის პოზიციას.

## შინაარსი

*ძირითადი მიგნებები* ..... *4*

*შესავალი* ..... *5*

*წარმომადგენლობითი ხარჯები* ..... *6*

**2020 წლის მონაცემები** ..... **7**

**2019 წლის მონაცემები** ..... **12**

*სამივლინებო ხარჯები* ..... *14*

**2020 წლის მონაცემები** ..... **15**

**2019 წლის მონაცემები** ..... **17**

*დასკვნა* ..... *19*

## ძირითადი მიგნებები

- 75 სსიპ-ის ხარჯების ანალიზის მიხედვით, 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს დაახლოებით ოთხჯერ შემცირდა წარმომადგენლობითი ხარჯები - 4,348,925 ლარიდან 1,198,429 ლარამდე.

- 2020 წელს წარმომადგენლობითი ხარჯები მხოლოდ კვლევის ობიექტ 7 სსიპ-ში გაიზარდა.

- 75 სსიპ-ის ხარჯების ანალიზის მიხედვით, 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს დაახლოებით ექვსჯერ შემცირდა სამივლინებო ხარჯები - 1,890,575 ლარიდან 298,982 ლარამდე.

- ცალკეულ უწყებებში სარესტორნო მომსახურების ხარჯები გაწეულია ისეთ პერიოდში, როდესაც კვების ობიექტებზე და სხვა თავშეყრის ადგილებზე პანდემიის გამო დაწესებული იყო გარკვეული შეზღუდვები.

- საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, ღვინის ეროვნული სააგენტო 20 ადამიანს გაუმასპინძლდა შპს „დეკორეტოში“.

- ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა, 2019 წელს, 19,256 ლარი დახარჯა ა(ა)იპ ,,ქართული ოცნება - ჯანმრთელი მომავალის'' მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე.

- სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი, 2019 წელს 11-ჯერ იმყოფებოდა მივლინებაში, ჯამში 63 დღე, რაც სააგენტოს 54,202 ლარი დაუჯდა. მათ შორის იყო 4 დღიანი მივლინება მოსკოვის მიმართულებით, რომლის მიზნობრიობა უცნობია.

- 2020 წელს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულმა კომისიამ 4,500 ლარამდე სარესტორნო ხარჯი გასწია. აქედან 1,876 მოხმარდა სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებულ მემორანდუმთან დაკავშირებულ სადილს, რომელიც 16 ოქტომბერს გაიმართა.

# შესავალი

COVID-19-ის გავრცელების და დაწესებული შეზღუდვების შედეგად, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2020 წელს 6.2%-ით შემცირდა.[1] ეკონომიკურმა კრიზისმა სახელმწიფო ბიუჯეტზეც დიდი გავლენა მოახდინა, გაიზარდა ხარჯები ჯანდაცვის სფეროში და მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა სხვადასხვა სახის სუბსიდიებზე. 2020 წლის 9 ივნისს, საქართველოს ფინანსთა სამინიტრომ წარადგინა საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტი, რომლის მეშვეობითაც უნდა განხორციელებულიყო ადმინისტრაციული ხარჯების მაქსიმალური შემცირება ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების მიზნით.[2] საგანგებო ბიუჯეტის ბიუროკრატიული ხარჯების ანალიზი აჩვენებდა, რომ საქონელი და მომსახურებისთვის გათვალისწინებული თანხა დაახლოებით 58 მილიონი ლარით შემცირდა, რაც უმეტესწილად განპირობებული უნდა ყოფილიყო პანდემიის შედეგად დაწესებული შეზღუდვების ფონზე სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების ბუნებრივი კლებით.

წარმომადგენლობითი ხარჯები მოიცავს უწყებების მიერ ორგანიზებულ მიღებებზე, ოფიციალურ სადილებზე, ღონისძიებებზე დახარჯულ თანხებს, ხოლო სამივლინებო ხარჯების უდიდესი წილი მოდის თანამდებობის პირების მიერ ქვეყნის გარეთ განხორციელებული ვიზიტების ფარგლებში გაწეულ (სამგზავრო, სასტუმრო და დღიური ნორმა) ხარჯებს. შესაბამისად, პანდემიის პირობებში ღონისძიებების გამართვაზე და ავიამიმოსვლაზე დაწესებული შეზღუდვები წარმოშობდა მსგავსი ხარჯების ეკონომიის მნიშვნელოვან წინაპირობას.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, IDFI-მ შეისწავლა, პანდემიამდე და პანდემიის დროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) და სხვა დამოუკიდებელი უწყებების მიერ გაწეული წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯები. ინსტიტუტმა, 2019-2020 წლებში გაწეული მსგავსი ხარჯების შესახებ დეტალური საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, დროის სხვადასხვა პერიოდში, მიმართა 100 უწყებას. კვლევის მიზნებისთვის სრულყოფილი ინფორმაცია მიღებულია 75 უწყებიდან, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებულია გარკვეულ პერიოდში გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია.

მაგალითად, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ-ების მიერ, IDFI-სთვის მოწოდებულია მხოლოდ 2020 წლის მეორე ნახევრის წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯების დაჯამებული მონაცემები, რაც არ იძლევა ამ უწყებებში სახარჯო პოლიტიკის შესწავლის ადეკვატურ შესაძლებლობას. ასევე, 2019 წლის და 2020 წლის პირველი 6 თვის შესაბამისი მონაცემები უპასუხოდ დატოვა ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, სოციალური მომსახურების სააგენტომ, სახაზინო სამსახურმა და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების

[1] საქსტატი - მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ).
[2] საგანგებო ბიუჯეტის ბიუროკრატიული ხარჯების ანალიზი.

სააგენტომ. 2020 წლის ივლისი-დეკემბრის პერიოდის მონაცემები არ გასცა მუნიციპალური განვითარების ფონდმა, ღვინის ეროვნულმა სააგენტომ, ველური ბუნების ეროვნულმა სააგენტომ, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ და სხვა. წინამდებარე კვლევა ეფუძნება იმ 75 უწყების მიერ მოწოდებულ მონაცემებს, რომლებმაც სრულყოფილად დააკმაყოფილეს IDFI-ის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები.

## წარმომადგენლობითი ხარჯები

2020 წელს, კვლევის ობიექტ უწყებებში, დაახლოებით ოთხჯერ შემცირდა წარმომადგენლობითი ხარჯები 2019 წელთან მიმართებით, 4,348,926 ლარიდან 1,198,430 ლარამდე. შემცირება სახეზე გვაქვს სსიპ-ების 90%-ში.




გამონაკლისია სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, სავაჭრო სამრეწველო პალატა, სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო, ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო, წიაღის ეროვნული სააგენტო, იურიდიული დახმარების სამსახური და სურსათის ეროვნული სააგენტო. თითოეულ მათგანში ფიქსირდება წარმომადგენლობითი ხარჯების 3,000-დან 23,000 ლარამდე მატება.

ასევე, აღსანიშნავია, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის შემთხვევა, რომელმაც 2020 წლის, ივლისი-დეკემბრის შუალედში 435,785.23 ლარის წარმომადგენლობითი ხარჯი გაიღო. ძირითადად ეს მოიცავდა ქართული მედიის წარმომადგენლების (4-დან 30 კაციანი ჯგუფები) საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ვიზიტების ფარგლებში მათი საკვებით უზრუნველყოფას. ამ მიზნით, ადმინისტრაციამ 59-ჯერ გასწია ხარჯი სარესტორნო მომსახურებაზე სხვადასხვა ადგილობრივ დაწესებულებაში. აღნიშნული თანხა არ არის გათვალისწინებული ზევით მოყვანილ ჯამურ მაჩვენებელში, ვინაიდან

ინსტიტუტისთვის ცნობილი არ არის უწყების მიერ 2019 და 2020 წლის პირველ ნახევარში გაწეული ხარჯები.

| წარმომადგენლობითი ხარჯები (ლარი) | 2019 | 2020 |
|---|---|---|
| სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური | 270,531.58 | 188,427.00 |
| საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ | 378,807.14 | 141,140.61 |
| წიაღის ეროვნული სააგენტო | 44,669.00 | 75,944.00 |
| განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი | 145,090.14 | 74,362.48 |
| კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო | 452,938.74 | 47,621.87 |
| სურსათის ეროვნული სააგენტო | 32,292.00 | 47,492.05 |
| ღვინის ეროვნული სააგენტო | 401,485.41 | 43,092.98 |
| შემოსავლების სამსახური | 238,216.40 | 40,290.10 |
| დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი | 31,906.76 | 38,163.00 |
| ახალგაზრდობის სააგენტო | 186,842.50 | 34,551.00 |
| სასაზღვრო პოლიცია | 231,920.00 | 32,163.00 |
| ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო | 93,528.46 | 31,149.74 |
| ეროვნული ბანკი | 435,029.88 | 23,709.16 |
| სახელმწიფო აუდიტის სამსახური | 27,466.00 | 16,030.00 |
| სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური | 11,956.50 | 15,121.00 |
| ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო | 20,615.54 | 12,873.00 |
| სავაჭრო სამრეწველო პალატა | 5,029.00 | 11,196.00 |

*ცხრილზე ასახული 16 უწყება, რომელიც გამოირჩევა ყველაზე მაღალი წარმომადგენლობითი ხარჯებით 2020 წელს (75 სსიპ-იდან, რომლებმაც სრულად გასცა 2019-2020 წლის მონაცემები)

## 2020 წლის მონაცემები

2020 წლის განმავლობაში 75-მა უწყებამ წარმომადგენლობით ღონისძიებებზე, საერთო ჯამში, 1,198,430 ლარი დახარჯა.

საერთო ხარჯის 4%-ს შეადგენს სარესტორნო მომსახურების ხარჯები, თუმცა ეს ციფრი შესაძლოა უფრო დიდიც იყოს, ვინაიდან  მოწოდებული ხარჯების 54%-ის შემთხვევაში არ არის მითითებული მისი მიზნობრიობა.




2020 წელს ყველაზე მასშტაბური ხარჯით, 188,427 ლარი, გამოირჩევა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. თუმცა, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად მოწოდებულია მხოლოდ ჯამური ოდენობა, შესაბამისად, არ არის ცნობილი აღნიშნული ხარჯების მიზნობრიობა და მათში სარესტორნო მომსახურებაზე გაწეული ხარჯების წილი.

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა წარმომადგენლობითი ხარჯების მიმართულებით 141,000 ლარამდე გამოყო. ხარჯები ძირითადად ემსახურებოდა სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებას, კვებით უზრუნველყოფას და სხვა საორგანიზაციო საკითხებს (ტრანსპორტირება, სასტუმრო). ჩატარებული ღონისძიებები მოიცავდა სემინარებს სტუდენტებისთვის, შემოქმედებით კონკურსებს („მე ევროპელი“ და „მომავლის აფხაზეთი“), ტრენინგებს, ასევე, ევროპის დღეებისთვის ორგანიზებული ღონისძიებას „ასოცირების 6 წელი საქართველოსთვის“; „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოსთან“ თანამშრომლობით დაგეგმილი პროექტი „ევროპული არდადეგები“, პროექტი - „დასავლური ინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“  და სხვა. ცენტრს მოწოდებული აქვს ერთიანი მონაცემები, შესაბამისად, ცნობილი არ არის ცალკეული ღონისძიებების და პროექტების ჩატარების თარიღები და გამოყოფილი თანხები, თუმცა ცნობილია, რომ 67,000 ლარამდე გაიხარჯა წლის მეორე ნახევარში ჩატარებულ ღონისძიებებზე. ცენტრის თანახმად, წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის 97,298 ლარი გამოიყო ბიუჯეტიდან, ხოლო 43,841 ლარი დაიფარა მიზნობრივი გრანტებით.

ივლისი-დეკემბრის პერიოდში, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ჩაატარა ღონისძიებების სერია, რომელიც მოიცავდა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის შედეგების განხილვას და ფერმერებთან შეხვედრებს. აღნიშნული ღონისძიებების ორგანიზება სააგენტომ საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციას 40,469 ლარად დაუკვეთა. გარდა ამისა, სააგენტომ 4,500 ლარამდე ხარჯი გასწია იანვარი-თებერვლის პერიოდში ჩატარებულ ღონისძიებებზე. ეს ძირითადად მოიცავდა ცენტრალურ ოფისში, საქმიან და საჯარო შეხვედრებს. მაისი-ივნისის პერიოდში წარმომადგენლობითი ხარჯები არ ფიქსირდება.

დაცული ტერიტორიების სააგენტომ 2020 წლის ივლისში ორგანიზება გაუწია რეინჯერთა მსოფლიო დღის აღსანიშნავ ღონისძიებას 14,538.5 ლარად და ჯამში 4,800 ლარის ღირებულების სასაჩუქრე ვაუჩერები გასცა.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ 2020 წელს, ივლისი-დეკემბრის პერიოდში, 102,005 ლარი დახარჯა წარმომადგენლობით აქტივობებზე. აქედან 74,307 ლარი გაიხარჯა საზაფხულო პროექტ „ახალგაზრდული ბანაკების" ფარგლებში სასტუმროს მომსახურებაზე. კომისიის ცნობით, სარესტორნო მომსახურებაზე ხარჯი არ გაწეულა. 2019 და 2020 წლის პირველ ნახევარის მონაცემების მოთხოვნის წერილზე, კომისიამ საპასუხოდ მხოლოდ სარესტორნო მომსახურებაზე გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ გასცა ინფორმაცია და აღნიშნა, რომ 2020 წელს სარესტორნო ხარჯებს ადგილი არ ჰქონია.

ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ 2020 წელს, იანვარი-თებერვლის პერიოდში, 31,000 ლარამდე ხარჯი გასწია. 10 იანვარს ტექნოპარკში გაიმართა ეკონომიკის სამინისტროს "წარმატებისა და აღიარების პროგრამის" დაჯილდოების ცერემონია, რომლისთვისაც ფურშეტის მომსახურება 4,783 ლარი დაჯდა. ხოლო 20 თებერვალს, გაიმართა საჯარო ანგარიშის წარდგენა და 500 startup-თან ხელმოწერის ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც სააგენტომ 5,000 ლარამდე დახარჯა კვების მომსახურების შესყიდვაზე (150 კაცზე), 7,000 ლარი ვიდეო გადაღების ტექნიკური უზრუნველყოფასა და ორგანიზებაზე, და 8,000 ლარამდე სხვა ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე (აუდიო აპარატურა, განათება, ეკრანი). დამატებით 1,432 ლარის ხარჯი გაწეულია სააგენტოს ხელმძღვანელი პირების მიერ მოწვეული სტუმრებისათვის უალკოჰოლო სასმელების/სასმელი წყლის შესყიდვაზე. ივლისი დეკემბრის პერიოდში დამატებით 5,000 ლარის ხარჯი იქნა გაწეულია. აქედან 1,300 ლარად, 6 ოქტომბერს, სააგენტო გაუმასპინძლდა EPAM Systems კომპანიის წარმომადგენლებს რესტორან „პურის სახლში“ (ჯამში, 13 ადამიანი). 900 ლარამდე თანხა მოხმარდა გურჯაანის ტექნოპარკის გახსნის ღონისძიების ორგანიზებას, ხოლო ჯამში 2,800 ლარი მოხმარდა უალკოჰოლო სასმელების შესყიდვას თბილისისა და რეგიონალური ინოვაციების ცენტრების სტუმრებისთვის.

სახელმწიფო დაცვის სამსახურმა 5,000 ლარად 50 წიგნი („ეს თბილისია“) დააბეჭდინა, 4,000 ლარად შეიძინა სასაჩუქრე ღვინის ბოთლები. სამსახურმა დამატებით 1,513 ლარი გამოყო მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული თანამშრომლების ოჯახებისთვის სასაჩუქრე ნობათის შეძენის მიზნით.

ნავთობის და გაზის სააგენტომ ყველაზე მსხვილი წარმომადგენლობითი ხარჯი, 4,590 ლარი, გასწია შპს „სევსამორა“-ში ჩატარებულ კონფერენცია/სამუშაო შეხვედრაზე, 14 დეკემბერს.

იურიდიული დახმარების სამსახურმა 2020 წელს, დაახლოებით 12,000 ლარამდე წარმომადგენლობითი ხარჯი გასწია. აქედან 11,556 ლარი ივლისი-დეკემბრის პერიოდში ფიქსირდება, თუმცა ღონისძიებების ზუსტი თარიღები უცნობია. სამსახურმა გამართა შეხვედრა აშშ-ის საელჩოსა და საქართველოში მოქმედი აშშ-ს დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რაც უწყებას 4,700 ლარი დაუჯდა. ასევე, ახალი საკონსულტაციო ცენტრების გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიებების ხარჯებმა, ჯამში, 6,800 ლარს მიაღწია. სამსახურის ცნობით, 2020 წელს სარესტორნო მომსახურების შესყიდვას ადგილი არ ჰქონია.

სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურმა, 9 სექტემბერს, საქართველოს პორტების ადმინისტრაციისა და ბიზნეს ომბუდსმენის გემთმფლობელებთან შეხვედრასთან დაკავშირებული ღონისძიება გამართა, რაც სამსახურს 2,900 ლარამდე დაუჯდა. ასევე, 22 დეკემბერს ჩატარდა ODA-ს პროექტის ფარგლებში სამხრეთ კორეელ ინჟინერთა სამუშაო ჯგუფის და თარჯიმნის, აგრეთვე ვიზიტის ფარგლებში სამხრეთ კორეის ელჩის და ატაშეს საქართველოში სტუმრობასთან დაკავშირებული ღონისძიება, რაზეც სამსახურმა 2,700 ლარამდე ხარჯი გასწია. დამატებით, სამსახურმა 2,900 ლარამდე თანხა დახარჯა სხვადასხვა სასაჩუქრე სუვენირებზე.

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა 2020 წელს 36,374 ლარის ხარჯი გასწია წარმომადგენლობით აქტივობებზე. აქედან 10,000 ლარამდე თანხა დაიხარჯა სარესტორნო მომსახურებაზე. კერძოდ, 5 თებერვალს, სამსახურმა 2019 წლის საქმიანობის ანგარიშის წარდგენის შემდგომ სტუმრების მიღება გამართა რესტორან ,,სამ საუკუნე“-ში, რაც 1,421.75 ლარი დაჯდა. გარდა ამისა, წლის მეორე ნახევარში სამსახურმა მოიწვია ექიმები და სამედიცინო პერსონალი ბათუმში, ზუგდიდში, ფოთსა და სენაკში მცხოვრებ ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის უფასო სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით, მოწვეული ექიმების კვებით უზრუნველყოფაზე საერთო ჯამში გამოიყო 8,128 ლარი. აღსანიშნავია, რომ სენაკის შემთხვევაში მოწვეულნი იყვნენ ორგანიზაცია „ქართული ოცნება - ჯანმრთელი მომავალი"-ს სპეციალისტები.

სარესტორნო ხარჯების თვალსაზრისით, ასევე გამოირჩევა ღვინის ეროვნული სააგენტო, რომელმაც 2020 წლის პირველ 6 თვეში, ჯამში, 12,592 ლარამდე ხარჯი გასწია ამ მიმართულებით. 19 იანვრიდან 24 იანვრის ჩათვლით დაგეგმილი ქართული ღვინის ტურის ფარგლებში, სტუმრად მოწვეული მონაკოს სომელიეთა ასოციაციის წევრებს (17 ადამიანი) სააგენტო გაუმასპინძლდა რამდენიმე რესტორანში, მათ შორის შპს „ქეთო და კოტეში“, შპს „ბარბარესთან“, და სს „შატო მუხრანი“, რაც საერთო ჯამში 7,000 ლარამდე დაჯდა. 15 მაისს, ჯერ კიდევ საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, სააგენტო გაუმასპინძლდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობას და ღვინის ასოციაციების წარმომადგენლებს (20

ადამიანი), შპს „დეკორეტოში“ 853 ლარად. ხოლო 6 აგვისტოს, 2020 წლის რთველის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტო მოწვეულ სტუმრებს გაუმასპინძლდა შპს „კაპილონში“, რაც 4,800 ლარამდე დაჯდა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მოქმედებდა საჯარო სივრცეში თავშეყრის გარკვეული შეზღუდვები. გარდა სარესტორნო ხარჯებისა, უწყებას ასევე დახარჯული აქვს 19,296 ლარი სასტუმროს (ღამის თევის) მომსახურების შესყიდვაზე.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ, აგვისტოდან ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, 5-ჯერ შეისყიდა სარესტორნო მომსახურება და ამ მიმართულებით, ჯამში 2,300 ლარამდე ხარჯი გასწია. აღნიშნული ღონისძიებები უკავშირდებოდა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფილიალის - ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის გახსნას, ევროკავშირის წარმომადგენლობის წევრების ვიზიტს და საზღვაო ინდუსტრიის წარმომადგენლების, ნავსადგურების, ტერმინალების და ლოჯისტიკური კომპანიების ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრას.

ასევე, აღსანიშნავია, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ხარჯები. 2020 წელს უწყებამ 89,944 ლარის წარმომადგენლობითი ხარჯი გასწია. ამ თანხის ძირითადი ნაწილი მოხმარდა სასაჩუქრე ნივთებს, (ღვინის გაფორმებული ბოთლები, ფიგურები, მაისურები, ჩანთები, სასმისები, და ა.შ). უწყებამ ასევე გასწია 4,500 ლარამდე სარესტორნო ხარჯი. აქედან 1,876 მოხმარდა სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებულ მემორანდუმთან დაკავშირებულ სადილს, რომელიც 16 ოქტომბერს გაიმართა. კომისიის თანახმად, მემორანდუმის მიზანია სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით გათვალისწინებული სასმელი წყლის მიმწოდებელ ბიზნეს ოპერატორთა სახელმწიფო კონტროლის განსახორციელებლად რისკების მართვის ხელშეწყობა და ამ მიზნით, მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება.

რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ებს, მათ ინსტიტუტს მხოლოდ 2020 წლის ივლისი-დეკემბრის პერიოდის შესაბამისი მონაცემები მიაწოდეს. ყველაზე მოცულობითი ხარჯით, 92,214 ლარი, გამოირჩევა საჯარო რეესტრის სააგენტო. მას მოსდევს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო - 55,661 ლარით. ეროვნული არქივის ხარჯი 17,575 ლარს შეადგენდა. სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლობითი ხარჯი კი 13,057 ლარს. დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს და ციფრული მმართველობის სააგენტოს ხარჯები არ აღემატებოდა 600 ლარს, ხოლო იუსტიციის სამინისტროს დანარჩენი სსიპ-ების ცნობით, მათ ამ კატეგორიის ხარჯი არ გაუწევიათ. საგულისხმოა, რომ ყველა აღნიშნული უწყების შემთხვევაში, მონაცემები სამწუხაროდ, მოცემულია ჯამურად, არ არის მითითებული ცალკეული ღონისძიებები, მათი მიზნობრიობა და ჩატარების თარიღები.

## 2019 წლის მონაცემები

წარმომადგენლობითი ხარჯების კომპონენტში 2019 წელს, 75-მა სსიპ-მა, საერთო ჯამში 4,348,926 ლარის ხარჯი გასწიეს. ყველაზე მსხვილი ხარჯებით გამოირჩევა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, ეროვნული ბანკი, ღვინის ეროვნული სააგენტო და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი. მათი ხარჯები 372,807 ლარიდან 452,939 ლარამდე მერყეობდა.

| უწყება | 2019 წლის წარმომადგენლობითი ხარჯი |
|---|---|
| კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო | 452,938.74 |
| ღვინის ეროვნული სააგენტო | 401,485.41 |
| საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ | 378,807.14 |
| შემოსავლების სამსახური | 238,216.4 |
| სასაზღვრო პოლიცია | 231,920.00 |
| ეროვნული ბანკი | 435,029.88 |
| სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური | 270,531.58 |
| საქპატენტი | 232,778.98 |
| ახალგაზრდობის სააგენტო | 186,842.5 |
| საავტომობილო გზების დეპარტამენტი | 177,160.88 |

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს 103,117 ლარიანი ხარჯი უფიქსირდება. აქედან 19,256 ლარი დაიხარჯა ა(ა)იპ ,,ქართული ოცნება - ჯანმრთელი მომავალის'' მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე (7 ღონისძიებაზე) გაწეულ კვებით მომსახურებაზე. აღნიშნული ორგანიზაცია 2013 წელს დაარსდა და მას ხელმძღვანელობს ქეთევან ბარათელი. ორგანიზაციის წინააღმდეგ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიღებული აქვს არაერთი საჩივარი წინასაარჩევნო აგიტაციის ბრალდებით.[3] საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულია სუბიექტები, რომლებსაც წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის უფლება არ აქვთ. მათგან ჩამონათვალში მითითებულია საქველმოქმედო ორგანიზაციაც. მიუხედავად იმისა, რომ ,,ქართული ოცნება - ჯანმრთელი მომავალი'' ძირითადად დაკავებულია საქველმოქმედო საქმიანობით, რასაც ადასტურებს არაერთი მედია

[3] საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია - განკარგულება

სიუჟეტი, რომლის მოძიებაც ორგანიზაციის ოფიციალურ Facebook გვერდზეც არის შესაძლებელი, იურიდიული სტატუსიდან გამომდინარე, საარჩევნო კომისიამ იგი არ მიიჩნია საქველმოქმედო ორგანიზაციად. საგულისხმოა ააიპ „ქართული ოცნება - ჯანმრთელი მომავალი“ -ს Facebook გვერდზე არსებული ლოგოს მსგავსება პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“ ლოგოსთან. ამასთან, ორგანიზაციის მიერ Facebook გვერდზე გამოყენებული სახელი - „ქართული ოცნება“ პარტიის სიმბოლიკის აღმნიშვნელია. შესაბამისად, ჩნდება ეჭვი, რომ ორგანიზაცია აღნიშნულ საქმიანობას პარტიის სასარგებლოდ ახორციელებს, რაც შეიძლება ჩაითვალოს ადმინისტრაციული რესურსების პოლიტიკური მიზნით გამოყენებად.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ სარესტორნო მომსახურებაზე გაწეული ხარჯი 66,000 ლარს შეადგენს, ხოლო 232,000 ლარამდე თანხა გამოიყო ავიასატრანსპორტო მომსახურების და სასტუმროების მომსახურების შესყიდვის მიზნით.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლობითი ხარჯები 2019 წელს 452,938 ლარს აღწევდა. მათ შორის ყველაზე მსხვილი თანხები გამოიყო შემდეგი ღონისძიებებისთვის:

- 85,246 ლარი - მუზეუმების საერთაშორისო დღის აღსანიშნავად სააგენტოს სტრუქტურაში შემავალი მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში ღონისძიებების ორგანიზებისთვის;
- 34,000 ლარი - „პრეისტორიული კლდის ხელოვნება ევროპასა და საქართველოში“ ვორკშოპისთვის;
- 37,207 ლარი - სააგენტოსა და ისრაელის სიძველეთა დეპარტამენტს შორის 2019 წლის სექტემბერში გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში პირველი სამუშაო მისიის განსახორციელებლად;
- 27,327 ლარი გამოიყო 2019 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, რუსთაველის გამზირზე გამართულ ღონისძიებისთვის.

2019 წელს ეროვნული ბანკის მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები 435,000 ლარს აჭარბებს. აქედან 87,500 ლარი მოხმარდა ღონისძიების ორგანიზებას (საკონფერენციო და სხვა მომსახურება), 73,700 ლარი სასაჩუქრე სუვენირებს, 62,500 ლარი კორპორატიულ ღონისძიებებს, 66,500 ლარი სარესტორნო მომსახურებას, ხოლო 145,000 ლარამდე თანხა გამოიყო სასტუმრო, სატრანსპორტო, ქეითერინგულ და სხვა მომსახურებებზე. წლის განმავლობაში, ბანკმა სარესტორნო მომსახურება 85-ჯერ შეისყიდა, თითოეულ შემთხვევაში ხარჯები 86 ლარიდან 8,797 ლარამდე მერყეობდა. ყველაზე მსხვილი სარესტორნო ხარჯები უკავშირდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორის და სსფ-ს დელეგაციის წევრების ოფიციალურ ვიზიტს, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის საკონსულტაციო ჯგუფის (BCG) ყოველწლიურ კონფერენციას, და სასტუმრო "შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში" ჩატარებულ საერთაშორისო სემინარს თემაზე - კიბერ-რისკი და კიბერ მოქნილობა ფინანსური რეგულატორებისათვის.

სსიპ საინფორმაციო ცენტრმა ნატოსა და ევროკავშირის შესახებ 2019 წელს 378,807 ლარის ოდენობით წარმომადგენლობითი ხარჯი გასწია. აქედან 160,305 ლარი შეადგენს

ცენტრის საბიუჯეტო რესურსებს, 205,238 ლარი წარმოადგენს მიზნობრივ გრანტებს, ხოლო 13,264 ლარი გამოყოფილია მთავრობის სარეზერვო ფონდიდან. აღნიშნული თანხები მოხმარდა ისეთ პროექტებს და ღონისძიებებს როგორიცაა ევროპის დღეების ოფიციალური გახსნა და მიღება; პროექტი „ახალგაზრდა ევროპელი ელჩები"; პროექტი „ევროპა-ისტორიული არჩევანი"; პოსტერების კონკურსი; ესეების კონკურსი „ევროპა ჩემთვის არის"; საინფორმაციო შეხვედრები რეგიონებში - „ევროკავშირი-ახალი შესაძლებლობები“; მედია სკოლა ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომუშავე ჟურნალისტებისთვის; სემინარი „კომუნიკატორები მეტი კომუნიკაციისთვის"; სტუდენტების შეხვედრა NATO-ს მისიებში მონაწილე სამხედროებთან; პროექტი „საქართველოს პარლამენტის მოდელირება 2019 საგაზაფხულო სესია“; და სხვა. ცენტრის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში მოცემულია ერთიანი ხარჯები და არ ჩანს ცალკეულ ღონისძიებებზე გამოყოფილი თანხები.

## სამივლინებო ხარჯები

წარმომადგენლობითი ხარჯების ანალოგიურად, საერთაშორისო მიმოსვლაზე დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, 2020 წელს მოსალოდნელი იყო სამივლინებო ხარჯების მკვეთრი შემცირება.




2020 წელს, 2019 წელთან მიმართებით, დაახლოებით ექვსჯერ შემცირდა სამივლინებო ხარჯები - 1,890,575 ლარიდან 298,982 ლარამდე. აღნიშნული შემცირება აისახა ყველა განხილულ უწყებაში. ასევე, საგულისხმოა, რომ 2020 წელს განხორციელებული მივლინებების უმრავლესობას ადგილი ჰქონდა წლის პირველ ნახევარში.

| სამივლინებო ხარჯები (ლარი) | 2019 | 2020 |
|---|---|---|
| სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია | 45,859.59 | 15,127.13 |
| აწარმოე საქართველოში | 102,178.00 | 12,683.00 |
| შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი | 66,116.00 | 9,086.92 |
| მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი | 38,943.00 | 8,906.74 |
| ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო | 32,491.00 | 8,045.47 |
| განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა | 9,546.00 | 7,400.44 |
| სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო | 35,260.00 | 6,819.22 |
| სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური | 208,828.00 | 83,010.38 |
| სახალხო დამცველი | 110,704.79 | 33,562.86 |
| ეროვნული ბანკი | 125,850.38 | 22,658.64 |
| სავაჭრო სამრეწველო პალატა | 34,573.00 | 18,766.00 |
| პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა | 52,744.76 | 11,557.00 |
| სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური | 12,033.21 | 10,672.60 |
| საქპატენტი | 18,584.58 | 9,713.04 |
| საქსტატი | 8,998.94 | 6,847.13 |
| ცენტრალური საარჩევნო კომისია | 30,300.25 | 4,955.80 |

*ცხრილზე ასახული 16 უწყება, რომელიც გამოირჩევა ყველაზე მაღალი სამივლინებო ხარჯებით 2020 წელს (75 სსიპ-დან, რომლებმაც სრულად გასცა 2019-2020 წლის მონაცემები)

## 2020 წლის მონაცემები

პანდემიის და მის შედეგად დაწესებული შეზღუდვების ფონზე, არსებული პირობებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად შემცირდა სამივლინებო ხარჯები.
75 უწყებიდან, ვინც 2020 წლის მონაცემები სრულად გასცა, 46-ს სამივლინებო ხარჯები არ ჰქონდა გაწეული, ხოლო დარჩენილმა 29 უწყებამ მთლიანობაში 298,982 ლარის ხარჯი გასწიეს თანამდებობის პირების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებულ ვიზიტებზე.

საერთო ჯამში, სამივლინებო თანხები თითქმის თანაბრად არის გადანაწილებული სამგზავრო, სასტუმრო და დღიური ნორმის ხარჯებზე. ცალკეულ შემთხვევებში ასევე გვხვდება სხვა ტიპის, მაგალითად, ვიზის ხარჯებიც.




ყველაზე მსხვილი ხარჯით, 83,010 ლარი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გამოირჩევა, თუმცა არ არის ცნობილი დეტალური მონაცემები. შესაბამისად, უცნობია როდის, რა მიზნით და რა მიმართულებით განხორციელდა აღნიშნული მივლინებები.

33,562 ლარის ხარჯი გაწეული აქვს სახალხო დამცველის აპარატს, თუმცა მათივე ცნობით, სამივლინებო ხარჯების დიდი ნაწილი დაფარულია არასაბიუჯეტო სახსრებით და გრანტებით. სახალხო დამცველი იმყოფებოდა საფრანგეთში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ ორგანიზებულ ზამთრის სესიაზე და ესპანეთში ომბუდსმენის საერთაშორისო ინსტიტუტის (IOI) ევროპის დირექტორთა საბჭოს შეხვედრაზე. მივლინებებში იმყოფებოდნენ სახალხო დამცველის მოადგილეებიც. ყველა აღნიშნული მივლინება განხორციელდა იანვარი-თებერვლის თვეებში.

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის დირექტორის მოადგილე 2020 წელს 5-ჯერ იმყოფებოდა საზღვარგარეთ მივლინებაში, მათ შორის ორი მივლინება განხორციელდა მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებში. დირექტორის მოადგილე მაისში იმყოფებოდა სლოვენიაში, ERASMUS+-ის საერთაშორისო პროექტის, „აღმოსავლეთ ევროპაში აგრო-სასურსათო პროდუქციის სპეციალისტებისთვის ლაბორატორიული პრაქტიკის გაუმჯობესება“ ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, ხოლო ივნისი-ივლისის თვეებში იგი ეწვია კალიფორნიას, კონფერენციაზე დასწრების მიზნით. დირექტორის მოადგილის ვიზიტებზე ჯამში 15,000 ლარზე მეტი დაიხარჯა, თუმცა უწყების ცნობით აღნიშნული თანხა მიზნობრივი გრანტებით დაიფარა.

ღვინის ეროვნული სააგენტოდან 6 ვიზიტი განხორციელდა გერმანიის, ესპანეთის, საფრანგეთის და აშშ-ის მიმართულებით. ყველა მათგანი იანვრის და თებერვლის თვეებში, პანდემიის ოფიციალურად გამოცხადებამდე. თითოეული ვიზიტის საერთო ღირებულება 5,000-იდან 7,000 ლარამდე მერყეობდა, ხოლო ვიზიტების მიზნობრიობა უწყების მიერ მოწოდებულ დოკუმენტში არ აისახება.

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის თანამდებობის პირები 2020 წელს 3-ჯერ იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ მივლინებაში. სისტემის დირექტორი და მისი ერთ ერთი მოადგილე იმყოფებოდნენ დიდ ბრიტანეთში BETT 2020 კონფერენციაზე დასწრების მიზნით, ხოლო მეორე მოადგილე იმყოფებოდა ბრაზილიაში, კომპანია UGT-ის და Dell EMC-ს ყოველწლიურ ტექნოლოგიურ სემინარზე. საერთო ჯამში, 2020 წელს უწყების სამივლინებო ხარჯებმა 7,400 ლარი შეადგინა.

ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე თებერვლის თვეში იმყოფებოდა აშშ-ში სტარტაპ გრაინდ გლობალის ღონისძიებაზე მონაწილეობის მიღების მიზნით. ამავე თვეში ის გაემგზავრა ბელარუსში, საქართველო-ბელარუსის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობო კომისიის სხდომაზე დასწრების მიზნით. ორივე მივლინება საერთო ჯამში 8,000 ლარზე მეტი დაჯდა.

2020 წელს, დაავადებათა კონტროლის ცენტრის გენერალური დირექტორის 2 მოადგილე იმყოფებოდა საზღვარგარეთ მივლინებაში. ერთ შემთხვევაში, ავსტრიაში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ავსტრიაში ორგანიზებულ მაღალი საშიშროების პათოგენების საკითხებზე ევროპის რეგიონის ოპერატიული ჯგუფის სხდომაზე დასწრების მიზნით, ხოლო მეორე შემთხვევაში ტაილანდში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაში: „უნივერსალური ჯანდაცვის პროგრესის აქსელერაცია“, მონაწილეობის მიღების მიზნით. ორივე მივლინება დაფინანსდა მომწვევის მიერ.

## 2019 წლის მონაცემები

75 უწყების მიერ გაწეული სამივლინებო ხარჯები 2019 წელს, საერთო ჯამში, 1,890,575 ლარს შეადგენდა. ამ კატეგორიაში ყველაზე მსხვილი ხარჯი, 208,828 ლარი, კვლავ უფიქსირდება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს. ამას გარდა, 100,000 ლარს აღემატება ღვინის ეროვნული სააგენტოს, ეროვნული ბანკის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს და სახალხო დამცველის აპარატის თანამდებობის პირების მიერ განხორციელებულ მივლინებებზე გაწეული ხარჯები.

2019 წელს, ღვინის ეროვნული სააგენტოდან განხორციელდა 20-ზე მეტი მივლინება ქვეყნის ფარგლებს გარეთ. საერთო ჯამში, სააგენტომ 131,174 ლარის ხარჯი გასწია, აქედან 72,677 ლარი სააგენტოს თავმჯდომარის მივლინებებს მოხმარდა, 54,966 ლარი კი მის ერთ-ერთ მოადგილეს. 23,148 ლარი დღიურ ნორმაზე გადანაწილდა, 56,014 ლარი მგზავრობის ხარჯებზე და 51,363 ლარი სასტუმროს ხარჯზე.

22 მივლინება განხორციელდა ეროვნული ბანკის 3 თანამდებობის პირის მიერ, რაც ჯამში, ბანკს 125,850 ლარი დაუჯდა. თავად ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა 11 ვიზიტი განახორციელა, მათ შორის: ავსტრიაში "Euromoney"-ის მიერ ორგანიზებული ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფორუმზე დასწრების მიზნით, აშშ-ში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის საგაზაფხულო შეხვედრებში

მონაწილეობის მიღების მიზნით, თურქეთსა და საბერძნეთში შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (BSTDB) მმართველთა საბჭოს შეხვედრაზე დასწრების მიზნით და ა.შ. მისი ყველაზე მსხვილი ხარჯები ფიქსირდება აშშ-ის მიმართულებით განხორციელებული ვიზიტების შემთხვევაში, თითოეული ვიზიტი ეროვნულ ბანკს 19,000-დან 22,000 ლარამდე დაუჯდა. საერთო ჯამში, 63,000 ლარამდე 3 ვიზიტის ფარგლებში. აღნიშნულ ხარჯებში ყველაზე დიდი თანხა განაწილებულია მგზავრობის და სასტუმროს ხარჯებზე. მაგალითად, 8 ივლისს განხორციელებული 3 დღიანი ვიზიტის შემთხვევაში, სასტუმროს ხარჯი 7,109 ლარს აღწევდა, ხოლო 16 ოქტომბერს განხორციელებული ვიზიტის შემთხვევაში, მგზავრობის ხარჯი 14,000 ლარს აჭარბებდა.

სახალხო დამცველის აპარატის შემთხვევაში, 2019 წელს სახეზე გვაქვს 110,704 ლარიანი სამივლინებო ხარჯი, აღსანიშნავია, რომ აქედან 63,000 ლარზე მეტი წარმოადგენს საგრანტო დაფინანსებას. საერთო ჯამში, სახალხო დამცველმა და მისმა 3 მოადგილემ 40-მდე მივლინება განახორციელეს საზღვარგარეთ, სხვადასხვა კონფერენციაში, სამუშაო შეხვედრასა და ფორუმში მონაწილეობის მიღების მიზნით.

2019 წელს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი და მისი 4 მოადგილე საზღვარგარეთ 28 მივლინებაში იმყოფებოდნენ, რაც სააგენტოს 112,461 ლარი დაუჯდა. ვიზიტები მოიცავდა იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში სამუშაო შეხვედრების განხორციელებას, იტალიის ქალაქ პესტუმში არქეოლოგიური ტურიზმის ყოველწლიურ გამოფენაზე დასწრებას, პორტუგალიაში „ქ. სინტრაში“ ისტორიული ბაღების საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობას, ბაქოში გამართულ UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 43-ე სესიაზე მონაწილეობის მიღებას და სხვა ამგვარ აქტივობებს.

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორმა 2019 წელს, საზღვარგარეთ 12 ვიზიტი განახორციელა, ჯამში 65 დღე იმყოფებოდა მივლინებაში, ხოლო მისმა საერთო სამივლინებო ხარჯმა 61,479 ლარს მიაღწია. აღნიშნული მივლინებები ძირითადად უკავშირდებოდა საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციების შეხვედრებს (ICAO, ECAC, EASA).

ვიზიტების რაოდენობით ასევე გამოირჩევა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი, რომელიც 11-ჯერ იმყოფებოდა მივლინებაში, ჯამში 63 დღე, რაც სააგენტოს 54,202 ლარი დაუჯდა. მათ შორის, 8 დეკემბერს, ზურაბ ჩეკურიშვილმა 4 დღიანი მივლინება განახორციელა მოსკოვის მიმართულებით, რომელის ფარგლებში სასტუმროს ხარჯებზე 2,059 ლარი, ვიზის ხარჯებზე 825 ლარი, დღიური ნორმის ხარჯებზე 589 ლარი, ხოლო მივლინებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებზე 1,190 ლარი გამოიყო, საერთო ჯამში, 4,664 ლარი. აღნიშნული ვიზიტის მიზნობრიობის შესახებ ინფორმაცია სააგენტომ IDFI-ს არ მოაწოდა.

## დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ 2020 წელს სსიპ-ების და სხვა დამოუკიდებელი უწყებების წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯები მნივშენლოვნად შემცირდა, რაც მეტწილად უკავშირდება პანდემიის შედეგად შექმნილ მდგომარეობას და მსოფლიო მასშტაბით გადაადგილებაზე დაწესებულ შეზღუდვებს. ასევე, აღსანიშნავია, რომ ცალკეულ შემთხვევებში, უწყებების მიერ გაწეული სარესტორნო ხარჯები დაფიქსირდა ისეთ პერიოდებში, როდესაც უკვე მოქმედებდა გარკვეული შეზღუდვები საკვებ ობიექტებსა და თავშეყრის ადგილებზე.

საყურადღებოა ის უწყებებიც, რომლებიც არ პასუხობენ ან არასრულად პასუხობენ წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯების შესახებ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას. ამგვარი დამოკიდებულება ეწინააღმდეგება გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს, და აჩენს არასათანადო ხარჯვითი პოლიტიკის ეჭვებს. IDFI მიიჩნევს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ისეთი უწყებების ბიუროკრატიული ხარჯების (მათ შორის წარმომადგენლობითი ხარჯების) მონიტორინგს, რომლებიც გამოირჩევიან გაუმჭვირვალობით, მათ შორის წინამდებარე კვლევაში დასახელებული ის უწყებები რომლებიც არ გასცემენ სრულყოფილ ინფორმაციას.

ამასთან, მძიმე ეკონომიკური პირობების ფონზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს ბიუროკრატიული ხარჯების მაქსიმალურად შემცირება და ოპტიმიზაცია, ასეთ ხარჯებს განეკუთვნება სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯებიც. კერძოდ, გასული წლის მანძილზე ქვეყნის მიერ მიღებული ეკონომიკური ზიანის მასშტაბიდან გამომდინარე, მოქმედი შეზღუდვების გაუქმების და შემსუბუქების პარალელურად, პოსტ-პანდემიურ პერიოდში მიზანშეწონილი იქნება წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯების მინიმალურ ნიშნულზე შენარჩუნება.